C. ( $\rho_m$ )

№ 62

ნახაზზე წარმოდგენილია კოჭის გაღუნული ღერძი (დრეკადი წირი). რომელი პარამეტრი ასახავს  $m$  წერტილზე გამავალი განივი კვეთის მობრუნების კუთხეს?




A. ( $Y_m$ )

B. ( $\varphi_m$ )

C. ( $\rho_m$ )

№ 63

ნახაზზე წარმოდგენილია კოჭის გაღუნული ღერძი (დრეკადი წირი). რომელი პარამეტრი ასახავს წირის სიმრუდის რადიუსს  $m$  წერტილისათვის?



A. ( $Y_m$ )


B. ( $\varphi_m$ )



C. ( $\rho_m$ )

№ 64

ნახაზზე წარმოდგენილია კოჭის გაღუნული ღერძი (დრეკადი წირი). როგორ გამოისახება გაღუნული ღერძის სიმრუდე?



A.  $\left(\frac{1}{Y_m}\right)$

B.  $\left(\frac{1}{\varphi_m}\right)$


C.  $\left(\frac{1}{\rho_m}\right)$

№ 65

კოჭის გაღუნული ღერძის მიახლოებითი დიფერენციალური განტოლებაა

$$\frac{M_x}{EI_x} = \frac{d^2 y}{dz^2}$$

რას უდრის განივი კვეთის მობრუნების მაქსიმალური ( $\varphi_{max}$ ) კუთხე ნახაზზე მოცემული სქემის შესაბამისად?




A.  $\left(\frac{Fl^2}{2EI_x}\right)$

B.  $\left(\frac{Fl}{EI_x}\right)$

C.  $\left(\frac{2Fl}{EI_x}\right)$

№ 66




კოჭის გაღუნული ღერძის მიახლოებით დიფერენციალური განტოლებაა  $\frac{M_x}{EI_x} = \frac{d^2 y}{dz^2}$ . რას უდრის კოჭის მაქსიმალური ჩაღუნვა ( $Y_{\max}$ ) ნახაზზე მოცემული სქემის შესაბამისად?

A.  $\left(\frac{Fl^2}{3EI_x}\right)$ .

B.  $\left(\frac{Fl^3}{3EI}\right)$ .

C.  $\left(\frac{Fl^2}{EI_x}\right)$ .

№ 67



მორის ფორმულას (მორის ინტეგრალს) აქვს სახე:

$$Y(z) = \int_0^l \frac{M(z)M'(z)}{EI_x} dz.$$


რას უდრის  $Y_{\max}$  წარმოდგენილი სქემის მიხედვით?

A.  $\left(\frac{Fl^3}{3EI_x}\right)$ .

B.  $\left(\frac{Fl^2}{3EI_x}\right)$ .

C.  $\left(\frac{Fl^2}{EI_x}\right)$ .

№ 68



მორის ფორმულას (მორის ინტეგრალს) აქვს სახე:

$$\varphi(z) = \int_0^l \frac{M(z)M'(z)}{EI_x} dz.$$


რას უდრის  $\varphi_{\max}$  წარმოდგენილი სქემის მიხედვით?

A.  $\left( \frac{2Fl}{3EI_x} \right).$

B.  $\left( \frac{Fl}{EI_x} \right).$

C.  $\left( \frac{Fl^2}{2EI_x} \right).$

№ 69



ვერეშზაგინის ხერხით  $\Delta_i = \frac{1}{EI_x} \omega_i \cdot \eta_{b.G}$ ; რას უდრის  $\Delta_{\max}$


(ჩაღუნვა  $F_1$  ძალის მოქმედების განივ კვეთში) წარმოდგენილი სქემის მიხედვით ?

A.  $\left( \frac{Fl^3}{3EI_x} \right).$

B.  $\left( \frac{Fl^2}{3EI_x} \right).$

C.  $\left( \frac{Fl^2}{EI_x} \right).$

№ 70




მორის ფორმულას (მორის ინტეგრალს) აქვს სახე:

$$\varphi_i = \int_0^l \frac{M(z)M'(z)}{EI_x} dz.$$

რას უდრის  $Y_{\max}$  წარმოდგენილი სქემის მიხედვით?

- A.  $\left(\frac{mE}{lI_x}\right)$ .
- B.  $\left(\frac{ml}{EI_x}\right)$ .
- C.  $\left(\frac{Fl^2}{EI_x}\right)$ .

№ 71




ვერეშჩაგინის სერხით  $\varphi_i = \frac{1}{EI_x} \omega_i \cdot \eta_{b,\delta}$ ; რას უდრის  $\varphi_{\max}$

(მობრუნების კუთხე  $m$  მომენტის მოქმედების განივ კვეთში) წარმოდგენილი სქემის მიხედვით?

- A.  $\left(\frac{ml}{EI_x}\right)$ .
- B.  $\left(\frac{mE}{lI_x}\right)$ .
- C.  $\left(\frac{ml^2}{EI_x}\right)$ .

№ 72



ვერეშაგინის სერხით  $\Delta_i = \frac{1}{EI_x} \omega_i \cdot \eta_{b,G}$ ; რას უდრის  $\Delta_{\max}$


(ჩაღუნვა  $m$  მომენტის მოქმედების განივ კვეთში) წარმოდგენილი სქემის მიხედვით?

A.  $\left( \frac{ml}{2EI_x} \right)$ .

B.  $\left( \frac{ml^2}{2EI_x} \right)$ .

C.  $\left( \frac{2ml}{EI_x} \right)$ .

№ 73



მორის ფორმულას (მორის ინტეგრალს) აქვს სახე:

$$\Delta_i = \int_0^l \frac{M(z)M'(z)}{EI_x} dz.$$


რას უდრის  $\Delta_{\max}$  წარმოდგენილი სქემის მიხედვით?

A.  $\left( \frac{ml^2}{2EI_x} \right)$ .

B.  $\left( \frac{2ml^2}{EI_x} \right)$ .

C.  $\left( \frac{ml}{2EI_x} \right)$ .

№ 74




ვერეშხაგინის ხერხით  $\varphi_i = \frac{1}{EI_x} \omega_i \cdot \eta_{b.G.}$ ; რას უდრის  $\varphi_{max}$

(მობრუნების კუთხე  $F$  ძალის მოქმედების განივ კვეთში) წარმოდგენილი სქემის მიხედვით ?

- A.  $\left( \frac{Fl^2}{2EI_x} \right)$ .
- B.  $\left( \frac{Fl}{EI_x} \right)$ .
- C.  $\left( \frac{2Fl}{EI_x} \right)$ .

№ 75

კოჭის გაღუნული ღერძის მიახლოებითი დიფერენციალური განტოლებაა




$$\frac{M_x}{EI_x} = \frac{d^2 y}{dz^2};$$

რას უდრის განივი კვეთის მობრუნების მაქსიმალური კუთხე ( $\varphi_{max}$ ) ნახაზზე მოცემული სქემის შესაბამისად?

- A.  $\left( \frac{mE}{lI_x} \right)$ .
- B.  $\left( \frac{ml}{EI_x} \right)$ .
- C.  $\left( \frac{ml^2}{EI_x} \right)$ .

№ 76



კოჭის გაღუნული ღერძის მიახლოებითი დიფერენციალური განტოლებაა

$$\frac{M_x}{EI_x} = \frac{d^2 y}{dz^2};$$


რას უდრის კოჭის მაქსიმალური ჩაღუნვა ( $Y_{\max}$ ) ნახაზზე მოცემული სქემის შესაბამისად?

A.  $\left(\frac{ml}{2EI_x}\right)$ .

B.  $\left(\frac{2ml}{EI_x}\right)$ .

C.  $\left(\frac{ml^2}{2EI_x}\right)$ .

№ 77




წარმოდგენილი ნახაზებიდან რომელზეა ერთჯერ სტატიკურად ურკვევი კოჭი ანუ რომელი შეიცავს ერთ „ზედმეტ“ უცნობს?

A.

B.

C.


№ 78



წარმოდგენილი ნახაზებიდან რომელზეა ორჯერ სტატიკურად ურკვევი კოჭი ანუ რომელი შეიცავს ორ „ზედმეტ“ უცნობს?

- A.
- B.
- C.

№ 79



წარმოდგენილი ნახაზებიდან რომელზეა სამჯერ სტატიკურად ურკვევი კოჭი ანუ რომელი შეიცავს სამ „ზედმეტ“ უცნობს?

- A.
- B.
- C.



№ 80

უჭრ კოჭებში ერთეულოვანი ძალებით გამოწვეულ გადაადგილებათა ურთიერთობის თეორემის საფუძველზე რომელი ტოლობაა სამართლიანი?

A.  $(\delta_{ij} = \delta_{ji})$ .

B.  $\left( \delta_{ij} = \frac{1}{\delta_{ji}} \right)$ .

C.  $(\delta_{ij} = 2\delta_{ji})$ .

№ 81

ძალთა მეთოდის რომელი კანონიკურ განტოლებათა სისტემაა სწორი?

A. 
$$\begin{cases} \delta_{11}X_1 + \dots + \delta_{1n}X_n = \Delta_1 \\ \text{-----} \\ \delta_{1n}X_1 + \dots + \delta_{nn}X_n = \Delta_n \end{cases}$$

B. 
$$\begin{cases} \frac{\delta_{11}}{X_1} + \dots + \frac{\delta_{1n}}{X_n} = \Delta_1 \\ \text{-----} \\ \frac{\delta_{1n}}{X_1} + \dots + \frac{\delta_{nn}}{X_n} = \Delta_n \end{cases}$$

C. 
$$\begin{cases} \delta_{11}X_1^2 + \dots + \delta_{1n}X_n^2 = \Delta_1 \\ \text{-----} \\ \delta_{1n}X_1^2 + \dots + \delta_{nn}X_n^2 = \Delta_n \end{cases}$$

№ 82

ძალთა მეთოდის კანონიკური განტოლებების სისტემის მატრიცული სახეა:

$$\begin{vmatrix} \delta_{11} & \delta_{12} & \dots & \delta_{1n} & \left| X_1 \right| & \left| \Delta_1 \right| \\ \delta_{21} & \delta_{22} & \dots & \delta_{2n} & \left| X_2 \right| & \left| \Delta_2 \right| \\ & & & & \text{-----} & \text{-----} \\ & & & & \left| \vdots \right| & \left| \vdots \right| \\ \delta_{n1} & \delta_{n2} & \dots & \delta_{nn} & \left| X_n \right| & \left| \Delta_n \right| \end{vmatrix}$$

კვადრატული მატრიცის მთავარ დიაგონალზე განლაგებულია  $\delta_{ii}$  გადაადგილებები. როგორაა განლაგებული  $\delta_{ij}$  და  $\delta_{ji}$  გადაადგილებები?

- A. (დიაგონალის სიმეტრიულად).
- B. (დიაგონალის ასიმეტრიულად).
- C. (ნებისმიერად).

**№ 83**

ღეროს განივი კვეთში მოქმედი რამდენი შინაგანი ძალოვანი ფაქტორი იწვევს მარტივ დეფორმაციას?

- A. (სამი)
- B. (ერთი)
- C. (ორი)

**№ 84**

როდესაც ღერო განიცდის ღუნვას და კუმშვას ერთდროულად, როგორია მისი წინააღობა?

- A. (მარტივი)
- B. (განურჩეველი)
- C. (რთული)

**№ 85**

რისი ტოლია ნორმალური ძაბვა ღეროს განივი კვეთის  $x$ -ით და  $y$ -ით განსაზღვრულ წერტილში ირიბი ღუნვის შემთხვევაში?

A.  $\left( \sigma = \frac{M_x}{I_x} Y + \frac{M_y}{I_y} X \right).$

B.  $(\sigma = M_x I_x Y + M_y I_y X).$

C.  $\left( \sigma = \frac{I_x Y}{M_x} + \frac{I_y X}{M_y} \right).$

№ 86

რისი ტოლია მაქსიმალური ნორმალური ძაბვა ღეროს განივ კვეთში ირიბი ღუნვის დროს?


A.  $(\sigma_{\max} = M_x W_x + M_y W_y).$

B.  $\left( \sigma_{\max} = \frac{M_x}{W_x} + \frac{M_y}{W_y} \right).$

C.  $\left( \sigma_{\max} = \frac{W_x}{M_x} + \frac{W_y}{M_y} \right).$

№ 87

რომელი ფორმულით ისახვრება ნეიტრალური შრის მდებარეობა ირიბი ღუნვის დროს?



A.  $\left( \operatorname{tg} \beta = \frac{I_x}{I_y} \operatorname{tg} \alpha \right).$

B.  $\left( \operatorname{tg} \beta = \frac{I_y}{I_x} \operatorname{tg} \alpha \right).$

C.  $(\operatorname{tg} \beta = I_x I_y \operatorname{tg} \alpha).$

№ 88

რისი ტოლია ნორმალური ძაბვა ღეროს განივი კვეთის  $y$ -ით განსაზღვრულ წერტილებში ერთდროული ღუნვის და კუმშვის (გაჭიმვის) შემთხვევაში?

A.  $\left( \sigma(y) = N_z A + \frac{M_x Y}{I_x} \right)$ .

B.  $\left( \sigma(y) = \frac{N_z}{A} + \frac{M_x Y}{I_x} \right)$ .

C.  $\left( \sigma(y) = N_z A + \frac{M_x I_x}{Y} \right)$ .


№ 89

რისი ტოლია მაქსიმალური ნორმალური ძაბვა ღეროს განივკვეთში ერთდროული ღუნვის და კუმშვის (გაჭიმვის) შემთხვევაში?

A.  $\left( \sigma_{\max} = N_z A + \frac{M_x}{W_x} \right)$ .

B.  $\left( \sigma_{\max} = N_z A + M_x W_x \right)$ .

C.  $\left( \sigma_{\max} = \frac{N_z}{A} + \frac{M_x}{W_x} \right)$ .



№ 90


რას იწვევს ღეროს განივკვეთში არაცენტრალური კუმშვა (გაჭიმვა)?

A. (ნორმალურ ძაბვებს).

B. (მხებ ძაბვებს).

C. (ორივეს ერთად).

№ 91




რისი ტოლია ნორმალური ძაბვა ღეროს განივი კვეთის C წერტილში არაცენტრალური კუმშვა (გაჭიმვის) შემთხვევაში?

A.  $\left[ \sigma_c = N_z A \left( \frac{Y_F Y}{i_x^2} + \frac{X_F X}{i_y^2} \right) \right]$ .

B.  $\left[ \sigma_c = \frac{N_z}{A} \left( 1 + \frac{Y_F Y}{i_x^2} + \frac{X_F X}{i_y^2} \right) \right]$ .

C.  $\left[ \sigma_c = N_z A \left( 1 + \frac{Y_F Y}{i_x^2} + \frac{X_F X}{i_y^2} \right) \right]$ .

№ 92



რისი ტოლია მაქსიმალური ნორმალური ძაბვა ღეროს განივიკვეთში არაცენტრალური კუმშვა (გაჭიმვის) შემთხვევაში?

A.  $\left[ \sigma_{\max} = N_z A \left( \frac{Y_F Y_{\max}}{i_x^2} + \frac{X_F X_{\max}}{i_y^2} \right) \right]$ .

B.  $\left[ \sigma_{\max} = N_z A \left( 1 + \frac{Y_F Y_{\max}}{i_x^2} + \frac{X_F X_{\max}}{i_y^2} \right) \right]$ .


C.  $\left[ \sigma_{\max} = \frac{N_z}{A} \left( 1 + \frac{Y_F Y_{\max}}{i_x^2} + \frac{X_F X_{\max}}{i_y^2} \right) \right]$ .

№ 93

ღეროს განივი კვეთის როგორ უბანს უწოდებენ კვეთის გულს?

- A. (უბანს, რომლის შიგნით მოქცეული მკუმშავი ძალა იწვევს მთელ განივ კვეთში ერთი ნიშნის დაბევებს).
- B. (სხვადასხვა ნიშნის დაბევებს).
- C. (ნულოვან დაბევებს მთელ განივ კვეთში).


№ 94



მკუმშავი ძალა მოდებულია ღეროს გრძივი ღერძის გასწვრივ კვეთის ცენტრში. როგორი სახე ექნება დაბვის ეპიურას  $x$  ღერძის გასწვრივ?

- A.
- B.
- C.


№ 95



მკუმშავი ძალა მოდებულია ღეროს განივი კვეთის  $x$  ღერძზე 1 წერტილში. როგორი სახე ექნება ძაბვის ეპიურას  $x$  ღერძის გასწვრივ?

- A.
- B.
- C.

№ 96



მკუმშავი ძალა მოდებულია ღეროს განივი კვეთის  $x$  ღერძზე 2 წერტილში. როგორი სახე ექნება ძაბვის ეპიურას  $x$  ღერძის გასწვრივ?

- A.
- B.
- C.


№ 97

შეკუმშული ღეროები მდგრადობის დაკარგვის შემთხვევაში დეფორმირების რომელი სახიდან გადადის დეფორმირების რომელ სახეში?

- A. (კუმშიდან ღუნვაში)
- B. (კუმშიდან გრეხაში)
- C. (კუმშიდან ძვრაში)

№ 98

როგორი სახე აქვს კრიტიკული ძალის ფორმულას (ეილერის ფორმულას) ნახაზზე წარმოდგენილი სქემის მიხედვით?



- A.  $\left( \frac{\pi^2 EI_{\min}}{l^2} \right)$ .
- B.  $\left( \frac{\pi EI_{\min}}{l^2} \right)$
- C.  $\left( \frac{\pi EI_{\min}}{2l^2} \right)$

№ 99

ნახაზზე წარმოდგენილ შემთხვევაში რას უდრის შეკუმშული ღეროს დაყვანილი სიგრძე  $l_0$   $\left( F_{კრ} = \frac{\pi^2 EI_{\min}}{l_0^2} \right)$ ?



- A.  $(l_0 = 0,5l)$
- B.  $(l_0 = 2l)$
- C.  $(l_0 = 0,7l)$



№ 100



ნახაზზე წარმოდგენილ შემთხვევაში რას უდრის შეკუმშული ღეროს დაყვანილი სიგრძე  $l_0 \left( F_{კრ} = \frac{\pi^2 EI_{\min}}{l_0^2} \right)$ ?

- A.  $(l_0 = 2l)$ .
- B.  $(l_0 = 0,5l)$ .
- C.  $(l_0 = 0,7l)$ .

№ 101



ნახაზზე წარმოდგენილ შემთხვევაში რას უდრის შეკუმშული ღეროს დაყვანილი სიგრძე  $l_0 \left( F_{კრ} = \frac{\pi^2 EI_{\min}}{l_0^2} \right)$ ?

- A.  $(l_0 = 0,5l)$ .
- B.  $(l_0 = 2l)$ .
- C.  $(l_0 = 0,7l)$ .

№ 102

განივი კვეთის რომელ წერტილებში აღიძვრებიან უდიდესი ნორმალური ძაბვები ირიბი ღუნვის დროს?

- A. (ნეიტრალური შრიდან უშორეს წერტილებში).
- B. (კვეთის სიმძიმის ცენტრში).
- C. (ნეიტრალური ღერძისა და კვეთის კონტურის გადაკვეთის წერტილებში).

## ლიტერატურა

1. დ. დანელია, ა. კვარაცხელია, ზ. მაძალუა. მასალთა გამძლეობა. თბილისი 2007წ.
2. დ. დანელია, ზ. მაძალუა. მასალთა გამძლეობა. თბილისი 2004წ

### მშენებლობის შეფასება და ტექნიკური ექსპერტიზის საფუძვლები

#### 1. განმარტეთ სამშენებლო ტერმინი- შენობა

- a. შენობა-** არის სამშენებლო კონსტრუქციებით შექმნილი შემოსაზღვრული გადახურული სივრცე;
- b. შენობა-** არის გადახურული სივრცე ,რომელიც განკუთვნილია ან საცხოვრებლად ან წარმოებისათვის;
- c. შენობა-**არის მიწისზედა არქიტექტურულ-სამშენებლო სისტემა,რომელიც შედგება მზიდი და შემომსაზღვრავი კონსტრუქციებისაგან და რომელსაც აქვს შიდა სივრცე სანიტარულ-ტექნიკური კლიმატის უზრუნველსაყოფად ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობისათვის.
- ა. შენობა-**შენობა არის გადახურული სივრცე,სადაც ადამიანები ცხოვრობენ ან საქმიანობენ

#### 2. განმარტეთ სამშენებლო ტერმინი-ნაგებობა:

- a. ნაგებობა** -არის გადახურული კონსტრუქცია, რომელიც გამოიყენება ადამიანთა თავშეყრისათვის;
- b. ნაგებობა-**არის ხისგან შეკრული სათავსი;
- c. ნაგებობა-**არის სამშენებლო ნაკეთობებით აგებული ღია ან დახურული სივრცე;
- d. ნაგებობა-**არის სამშენებლო სისტემა, რომელიც შედგება მზიდი და ზოგჯერ შემომსაზღვრავი კონსტრუქციებისაგან, როგორც წესი, სანიტარულ-ტექნიკური კლიმატის უზრუნველყოფის გარეშე (გამონაკლისია მეტროპოლიტენი და მსგავსი მიწისქვეშა ნაგებობები).ნაგებობების დანიშნულებაა ტექნიკური ფუნქციების შესრულება და ადამიანთა დროებითი ყოფნა (ხიდი,სარკინიგზო ლიანდაგი, კოშკი,ღობე,გვირაბი,ქვაბული დაა.შ.).

#### 3..განმარტეთ სამშენებლო ტერმინი-სათავსი;

- a. სათავსი** არის სარდაფის სართული, რომელიც განკუთვნილია მოწყობილობების

შესანახად;

- b.* სათავსი არის-შენობის შიგნით ყოველი მხრიდან შემოსაზღვრული სივრცე (ოთახი, საამქრო, დერეფანი და ა.შ.), რომელსაც არ აქვს დანაყოფები;
- c.* სათავსი არის-მანსარდი;
- d.* სათავსი არის-შენობის ნაწილი, რომელიც გამოყენებულია საწყობად.

**4. განმარტეთ სამშენებლო ტერმინი-სივრცით დაგეგმარებითი ელემენტი:**

- a.* შენობის მსხვილი ნაწილები: სართული, ცალკეული სათავსები, შენობის ნაწილი ძირითად (მზიდი) კედლებს შორის;
- b.* რიკული;
- c.* იატაკი;
- d.* არმატურის ღერო.

**5. განმარტეთ სამშენებლო ტერმინი-სამშენებლო ნაკეთობა:**

- a.* დამცავი ჩაფხუტი;
- b.* ნიჩაბი;
- c.* მცირე სამშენებლო დეტალები (პანელები, ფილები, საფეხურები, აგურები, მილსადენები), რისგანაც შედგება კონსტრუქციული ელემენტები.
- d.* ელექტრო მომარაგების სისტემა.

**6. განმარტეთ სამშენებლო ტერმინი-მშენებლობა :**

- a.* სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- b.* შენობა-ნაგებობების აგების პროცესი, რომელიც მოიცავს საკუთრივ სამშენებლო სამუშაოებს, საწარმოო აღჭურვილობის დამონტაჟებას, დამხმარე, სატრანსპორტო და სხვა სახის სამუშაოებს.მშენებლობას ასევე მიეკუთვნება შენობა-ნაგებობების რემონტი;
- c.* ავარიულად დაზიანებული კვანძების დემონტაჟი;
- d.* არცერთი ჩამოთვლილი პასუხი არ არის სწორი.

7. რას ითვალისწინებს სამშენებლო ტერმინი-რეკონსტრუქცია:

- a.* აშენებული კონსტრუქციების გადაკეთებას;
- b.* შენობის კონსტრუქციის გადაკეთებას ფუნქციური დანიშნულების შეცვლის მიზნით;
- c.* შენობის კონსტრუქციის გადაკეთებას ფართის გაზრდის მიზნით;
- d.* ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სახის სამუშაოების შესრულებას.

8. რას ითვალისწინებს სამშენებლო ტერმინი-აღდგენა-გაძლიერება:

- a.* შენობის არსებული დაზიანებული კვანძების გაძლიერებას;
- b.* შენობის კვანძების დემონტაჟს;
- c.* ლითონის კარკასის მოწყობას;
- d.* ა) და გ) -პუნქტებში ჩამოთვლილი სამუშაოების შესრულებას.

9. რა სახის სარემონტო სამუშაოებს ვიცნობთ?

- a.* მიმდინარე რემონტი ;
- b.* საშუალო რემონტი ;
- c.* კაპიტალური რემონტი;
- d.* ყველა ზემოთჩამოთვლილი.

10. შენობის ავარიულობის განმაპირობებელი ორგანიზაციული ხასიათის ფაქტორი

- a.* მიწისძვრა;
- b.* მეწყერი;
- c.* არასწორი ექსპლუატაცია;
- d.* ტაიფუნი.

11. შენობის ავარიულობის განმაპირობებელი ბუნებრივი ფაქტორები:

- a.* არასწორი პროექტირება;
- b.* არასწორი დამზადება ;
- c.* არცერთი ზემოთჩამოთვლილი;
- d.* მეწყერი.

12. რას ნიშნავს ტერმინი- საავტორო ზედამხედველობა:

- a.* ხარჯთაღრიცხვის არსებულ სამშენებლო სტანდართან შესაბამისობის დადგენა;
- b.* საპროექტო დოკუმენტაციაში კორექტირების შეტანა;
- c.* შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების საპროექტო გადაწყვეტილებებთან შესაბამისობის ზედამხედველობა. იგი ხორციელდება საპროექტო ორგანიზაციების მიერ მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში.
- d.* არცერთი ზემოთჩამოთვლილი

13. რას ნიშნავს ტერმინი-ტექნიკური ზედამხედველობა :

- a.* საპროექტო დოკუმენტაციის საქართველოში დღეს მოქმედ ს.ნ.წ. შესაბამისობის დადგენა;
- b.* დამკვეთის მიერ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა, მათ შორის, დასრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიღების ფუნქციები;
- c.* შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი;
- d.* მშენებლობაზე უსაფრთხოების ნორმების ზედამხედველობა.

14. როგორ განისაზღვრება საწარმოო შენობის სამშენებლო მოცულობა?

- a.* საწარმოო შენობაში დაგეგმილი გამოსაშვები პროდუქციის მიხედვით;
- b.* დამხმარე ფართის მიხედვით;
- c.* ძირითადი და დამხმარე ნაგებობების ფართების მიხედვით;
- d.* საწარმოო შენობის სამშენებლო მოცულობა განისაზღვრება როგორც შენობის

განივკვეთის (ფარნების

15. როგორ განისაზღვრება დაზიანებული შენობების ავარიულობის ხარისხი?

- a. საპროექტო მონაცემების მიხედვით;
- b. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით;
- c. არსებული დაზიანებების მიხედვით ;
- d. ჩატარებული სტრუქტურული მონიტორინგის შედეგების მიხედვით .

16. რას აღნიშნავს ტერმინი კონსტრუქციების დიაგნოსტიკა?

- a. კონსტრუქციების ავარიულობის ხარისხს;
- b. კონსტრუქციების ზომების გადახრას;
- c. კონსტრუქციების საიმედოობის შესწავლას(გამოკვლევას);
- d. კონსტრუქციების საიმედოობას.

17 როგორ განიმარტება ტერმინი კონსტრუქციის საიმედოობა?

- a. კონსტრუქციის უნარი შეინარჩუნოსმდგრადობა მოქმედი დატვირთვების მიმართ ექსპლუატაციის მანძილზე;
- b. კონსტრუქციის ხანმედეგობა;
- c. კონსტრუქციის სიხისტე;
- d. კონსტრუქციის სიმტკიცე.

18. როგორ განისაზღვრება შენობის ფიზიკური ცვეთა?

- a. შენობის ფიზიკური ცვეთა განისაზღვრება მისი კონსტრუქციების კოროზიის ხარისხით;
- b. შენობების ფიზიკური ცვეთა განისაზღვრება სამშენებლო მასალების დროში ცვლადი ფიზიკურ-ტექნიკური და ქიმიური თვისებებით, რომელთაგან დამზადებულია შენობების ელემენტები. ამავე დროს, გარე ფაქტორებიც ახდენს გავლენას ცვეთაზე: შენობა-ნაგებობების მიზნობრივად გამოყენება, კაპიტალური, მიმდინარე შეკეთების მოცულობა და ა.შ.

- c. შენობის ფიზიკური ცვეთა განისაზღვრება, როგორც მზიდი კედლების დეფორმაცია;
- d. შენობის ფიზიკური ცვეთის სიდიდე განისაზღვრება მისი საძირკველის ჯდენის მიხედვით.

19. როგორ გამოითვლება შენობების ფიზიკური ცვეთის სიდიდე?

- a. ცვეთის სიდიდე დამოკიდებულია შენობის ცალკეული კვანძის ეროზიის მახასიათებლის ფარდობით ცვლილებაზე დროში;
- b. ცვეთის სიდიდე დამოკიდებულია მზიდი კედლების ჯამური მოცულობის ცვლილებაზე დროში;
- c. შენობის ცვეთა განისაზღვრება მისი კონსტრუქციების ხანმდეგობის მაჩვენებლების მიხედვით.
- d. შენობა-ნაგებობების ზოგადი ფიზიკური ცვეთის ხარისხი განისაზღვრება მისი ცალკეული ელემენტების ცვეთის ხარისხის დაჯამებით, შეწონილი მათი კუთრი წონის მიხედვით შენობის მთლიან აღდგენით ღირებულებაში.

20. რაში მდგომარეობს შენობების მორალური ცვეთა?

- a. შენობების მორალური ცვეთა ასახავს მათი საექსპლუატაციო მახასიათებლების შეუსაბამობას თანამედროვე მოთხოვნებთან, რაც ასახულია სამშენებლო და გეგმარების ნორმებში;
- b. შენობების მორალური ცვეთის განპირობებელი ფაქტორია ექსპლუატაციის პერიოდში მათი თანდათანობითი შეუსაბამობა არსებულ განაშენიანებასთან;
- c. შენობების მორალური ცვეთა უკავშირდება, მათ ხანდაზმულობას;
- d. შენობების მორალური ცვეთის პირობა დამოკიდებულია მათ ფიზიკურ ცვეთასთან.

### სახელმძღვანელო ლიტერატურა

1. მალხაზ წიქარიშვილი გელა მეტრეველი „მშენებლობის შეფასება“ სალექციო კურსი. საგამომცემლო სახლი :“ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2019 წელი

ISBN 978.9941-28-207-2

2. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო სამშენებლო ნორმები და წესები 2009 წელი.

3.მ.წიქარიშვილი ი.მელაშვილი ლ. ზამბახიძე „სამშენებლო ტექნიკური ექსპერტიზა“  
გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2009.196 გვ.ISBN 978.9941-14-385-3.

## რკინაბეტონისა და ქვის კონსტრუქციები

### ტესტი№1

**რა განაპირობებს ბეტონისა და ფოლადის არმატურის ერთობლივ მუშაობას რკინაბეტონის კონსტრუქციებში?**

- a.* გამყარებისას წარმოქმნილი შეჭიდულობის ძალები, ბეტონსა და ფოლადის არმატურას შორის, რაც არ ირღვევა გარე და ტვირთის ზემოქმედებისას;
- b.* ბეტონსა და ფოლადის არმატურას თითქმის თანაბარი ტემპერატურული ხაზოვანი გაფართოების კოეფიციენტი აქვთ და გამყარებისას წარმოქმნილი შეჭიდულობის ძალები;
- c.* ფოლადის არმატურა კარგად მუშაობს გაჭიმვაზე და ბეტონი საიმედოდ იცავს მას დაჟანგვისაგან და გამყარებისას წარმოქმნილი შეჭიდულობის ძალები;
- d.* გამყარებისას ბეტონსა და არმატურას შორის წარმოქმნილი შეჭიდულობის ძალები; ტემპერატურული ხაზოვანი გაფართოების კოეფიციენტი, რომელიც ბეტონისა და არმატურისათვის თითქმის თანაბარია და ბეტონი საიმედოდ იცავს მას დაჟანგვისაგან.

### ტესტი№2

**ბეტონის სიმტკიცის რომელ მახასიათებელს გამოიყენებენ რკინაბეტონის კონსტრუქციების გაანგარიშებისას?**

- a.* ბეტონის წინაღობას კუმშვაზე ე.წ. კუბურსიმტკიცეს;
- b.* ბეტონის წინაღობას კუმშვაზე ე.წ. პრიზმულ სიმტკიცეს;
- c.* ბეტონის წინაღობას გაჭიმვაზე ე.წ. კუბურ სიმტკიცეს;
- d.* ბეტონის წინაღობას ღუნვაზე ე.წ. პრიზმულ სიმტკიცეს.

### ტესტი№3

**რა მოეთხოვება ფოლადის არმატურას რკინაბეტონის კონსტრუქციებში?**

- a.* საიმედო კავშირი ბეტონთან (შეჭიდულობა); ეკონომიურობა ფოლადის



ხარჯის, ღირებულების, დამზადებისა და მონტაჟის შრომატევადობის მხრივ; არმატურის სიმტკიცისა და პლასტიკური თვისებების გარანტირებული მინიმუმი;

- b.* ეკონომიურობა ფოლადის ხარჯის, ღირებულების, დამზადებისა და მონტაჟის შრომატევადობის მხრივ;
- c.* დამზადების ტექნოლოგიის სიმარტივე; არმატურის სიმტკიცის გარანტირებული მინიმუმი;
- d.* საიმედო კავშირი ბეტონთან (შეჭიდულობა); ეკონომიურად ხარჯვა და დამზადების ტექნოლოგიის სიმარტივე.

#### ტესტი №4

**რა არის არმატურის ძირითადი დანიშნულება და განასხვავებენ?**

- a.* არმატურის ძირითადი დანიშნულებაა კუმშვაზე მუშაობა და განასხვავებენ: გრძივ და განივ მუშა არმატურას და მანაწილებელ არმატურას;
- b.* არმატურის ძირითადი დანიშნულებაა ღუნვაზე მუშაობა და განასხვავებენ: გრძივ და დახრილ მუშა არმატურას და სამონტაჟო არმატურას;
- c.* არმატურის დანიშნულებაა ძირითადად გაჭიმვაზე მუშაობა, განასხვავებენ: გრძივ, განივ და დახრილ მუშა არმატურას, მანაწილებელ და სამონტაჟოს;
- d.* არმატურის ძირითადი დანიშნულებაა მხოლოდ გაჭიმვაზე მუშაობა და განასხვავებენ: გრძივ და დახრილ მუშა არმატურას და განივ არმატურას.

#### ტესტი №5

**რაზეა დამოკიდებული რკინაბეტონის ფიზიკურ–მექანიკური თვისებები?**

- a.* მხოლოდ ბეტონის ფიზიკურ–მექანიკური თვისებებზე და არ განსხვავდება მისგან.
- b.* მხოლოდ არმატურის ფიზიკურ–მექანიკური თვისებებზე და არ განსხვავდება მისგან.
- c.* ბეტონისა და არმატურის ფიზიკურ–მექანიკური თვისებებზე, მაგრამ განსხვავდება მათგან.
- d.* ბეტონისა და არმატურის ფიზიკურ–მექანიკური თვისებებზე და არ განსხვავდება მათგან.

#### ტესტი №6

### როგორ მდგომარეობას ეწოდება ზღვრული?

- a. ზღვრულს უწოდებენ ისეთ მდგომარეობას, როდესაც კონსტრუქცია აკმაყოფილებს
- b. მისადმი წაყენებულ საექსპლუატაციო ან აგების მოთხოვნებს
- c. ზღვრულს უწოდებენ ისეთ მდგომარეობას, როდესაც კონსტრუქცია აღარ აკმაყოფილებს მისადმი წაყენებულ საექსპლუატაციო მოთხოვნებს ან მოთხოვნებს აგების პირობებით;
- d. ზღვრულს უწოდებენ ისეთ მდგომარეობას, როდესაც კონსტრუქცია აკმაყოფილებს მისადმი წაყენებულ საექსპლუატაციო მოთხოვნებს და არაკმაყოფილებს მოთხოვნებს აგების პირობებით;
- e. ზღვრულს უწოდებენ ისეთ მდგომარეობას, როდესაც კონსტრუქცია აღარ აკმაყოფილებს მისადმი წაყენებულ საექსპლუატაციო მოთხოვნებს, მაგრამ აკმაყოფილებს მოთხოვნებს აგების პირობებით.

### ტესტი №7

#### ზღვრული მდგომარეობის რამდენ ჯგუფს ცნობთ?

- a. არსებობს ზღვრული მდგომარეობათა ორი ჯგუფი;
- b. არსებობს ზღვრული მდგომარეობათა სამი ჯგუფი;
- c. არსებობს ზღვრული მდგომარეობათა ერთი ჯგუფი;
- d. არსებობს ზღვრული მდგომარეობათა ოთხი ჯგუფი.

### ტესტი №8

#### როგორ ხდება და რა პირობით ხასიათდება რკინაბეტონის ნორმალურად დაარმატურებულ

##### კვეთში, რღვევა?

- a. ნორმალურად დაარმატურებულ კვეთში რღვევა იწყება შეკუმშული ბეტონიდან ბზარების გაჩენით შემდეგ ხდება გაჭიმულ ზონაში არმატურის გაწყვეტა; ხასიათდება შემდეგი პირობით:  $\xi < \xi_R$ ;
- b. ნორმალურად დაარმატურებულ კვეთში რღვევა იწყება გაჭიმული არმატურიდან – გაჭიმული არმატურაში ძაბვების მნიშვნელობა აღწევს ზღვრულ სიდიდეს შემდეგ ხდება შეკუმშული ბეტონის რღვევა ან გაჭიმული არმატურა და შეკუმშული ბეტონი ერთდროულად ირღვევა; ხასიათდება შემდეგი პირობით:  $\xi < \xi_R$ ;
- c. ნორმალურად დაარმატურებულ კვეთში რღვევა იწყება გაჭიმული ზონის ბეტონში ბზარების გაჩენით შემდეგ ხდება გაჭიმულ ზონაში არმატურის გაწყვეტა;


ხასიათდება შემდეგი პირობით:  $\xi \geq \xi_R$ ;

- d. ნორმალურად დაარმატურებულ კვეთში რღვევა იწყება შეკუმშული ზონის ბეტონში ბზარების გაჩენით, შემდეგ ხდება გაჭიმულ ზონაში არმატურის გაწყვეტა;  
ხასიათდება შემდეგი პირობით:  $\xi < \xi_R$ ;


### N9

მალების რაოდენობისა და საანგარიშო სქემის მიხედვით განასხვავებენ რკინაბეტონის ღუნვად ელემენტებს:


- a) ერთმალიან, უჭრ, სახსროვან ან ხისტად ჩამაგრებულ ღუნვად ელემენტებს შესაბამისი საანგარიშო სქემებით:




- b) მრავალმალიან, უჭრ, სახსროვან, ხისტად ან სახსროვნად ჩამაგრებულ ჩამაგრებულს შესაბამისი საანგარიშო სქემით:



- c) ერთ და მრავალმალიან, უჭრ, სახსროვან, კონსოლებიან, საყრდენებზე ხისტად ან სახსროვნად და სხვა ღუნვად ელემენტებს, შესაბამისი საანგარიშო სქემებით:



- d) მხოლოდ მრავალმალიან, უჭრ, კონსოლებიან, საყრდენებზე ხისტად ან სახსროვნად და სხვა, შესაბამისი საანგარიშო სქემებით:



## ტესტი №10

რას ნიშნავს ღუნვადი ელემენტის სიმტკიცეზე გაანგარიშება?

- a.* ღუნვადი ელემენტის სიმტკიცეზე გაანგარიშება ნიშნავს საანგარიშო სქემის მიხედვით ზღვრული (მრღვევი) მომენტის განსაზღვრას;
- b.* ღუნვადი ელემენტის სიმტკიცეზე გაანგარიშება მისი საანგარიშო სქემის მიხედვით გაანგარიშებას.
- c.* ღუნვადი ელემენტის სიმტკიცეზე გაანგარიშება გრძივი ღერძისადმი ნორმალური ბზარების წარმოქმნის მიხედვით გაანგარიშებას ნიშნავს.
- d.* ღუნვადი ელემენტის სიმტკიცეზე გაანგარიშება ნიშნავს ზღვრული (მრღვევი) მომენტის განსაზღვრას საანგარიშო სქემის მიხედვით და მის შედარებას საანგარიშო მდუნავ მომენტთან.

## ტესტი №11

მრავალსართულიანი შენობების კონსტრუქციული ელემენტები დანიშნულების მიხედვით იყოფა:

- a.* მზიდი და ასრულებს შემოზღუდვის მოვალეობას;
- b.* მხოლოდ შემომზღუდავი კონსტრუქციულ ელემენტებად. ;
- c.* მზიდი და შემომზღუდავი, რომელიც ასევე ასრულებს შემოზღუდვის
- d.* მოვალეობას;
- e.* მხოლოდ მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებად.

## ტესტი N12

მზიდი ჩონჩხის ძირითადი კონსტრუქციები და მისი მოვალეობები:

- a.* ჰორიზონტალური კონსტრუქციები. ვერტიკალური მზიდი კონსტრუქციები თავის თავზე იღებს შენობაზე მოქმედ მთელ დატვირთვას და გადასცემს საძირკვლებს;
- b.* ჰორიზონტალური კონსტრუქციებისაგან. რომლებიც მასზე მოქმედ დატვირთვებს გადასცემს ვერტიკალურ ელემენტებს;
- c.* ვერტიკალური კონსტრუქციებისაგან. რომლებიც მასზე მოქმედ დატვირთვებს გადასცემს ვერტიკალურ ელემენტებს;
- d.* ვერტიკალური და ჰორიზონტალური კონსტრუქციები. ვერტიკალური მზიდი კონსტრუქციები იღებს შენობაზე მოქმედ მთელ დატვირთვას და გადასცემს საძირკვლებს; ჰორიზონტალური კონსტრუქციები – გადახურვები, რომლებიც დატვირთვას გადასცემენ ვერტიკალურ ელემენტებს.

### ტესტი N13

მრავალსართულიან სამოქალაქო შენობებისათვის ძირითადად მიღებულია:

- a.** კარკასული, პანელურ კარკასული და პანელურ უკარკასო, მზიდკედლებიანი და მოცულობით–ბლოკებიანი სისტემები.
- b.** პანელური უკარკასო და მზიდკედლებიანი სისტემები;
- c.** კარკასული, პანელური უკარკასო, მოცულობით–ბლოკებიანი სისტემები. .
- d.** კარკასული, პანელური კარკასული და მზიდკედლებიანი სისტემები;

### ტესტი N14

კარკასული შენობის ძირითადი ელემენტებია:

- a.** კარკასი; კედლები, სახურავი და გადახურვები, საძირკველი, კიბის უჯრედი ;
- b.** სვეტები, სახურავი და გადახურვები;
- c.** სახურავი, საძირკველი, კიბის უჯრედი;
- d.** გადახურვები, საძირკველი, კიბის უჯრედი;

### ტესტი N15

რა შემთხვევაში იგება უკარკასო მსხვილპანელური მრავალსართულიანი შენობები?

- a.** როცა შენობები საკმაოდ დაბალია ან თუ ვაშენებთ სეისმურ რაიონებში 9–12–მდე სარულამდე შენობებს.
- b.** როცა შენობები 20 სართულზე მეტია ან თუ ვაშენებთ არასეისმურ რაიონებში 9–12–მდე სარულამდე შენობებს.
- c.** როცა შენობები დაბალი სართულიანია ან თუ ვაშენებთ არასეისმურ რაიონებში;
- d.** როცა შენობები 20 სართულამდეა ან თუ ვაშენებთ სეისმურ რაიონებში 9–12–მდე სარულამდე შენობებს.

### ტესტი N16

რომელ კონსტრუქციულ გადაწყვეტაში ასრულებს კიბის უჯრედი და გრძივი კედლები დიაფრაგმის მოვალეობას?

- a.** როდესაც გვაქვს უკარკასო შენობა განივი მზიდი კედლებით და გრძივი სიხისტის დიაფრაგმებით და გადახურვები ეყრდნობა ორი გვერდით განივ კედლებზე.
- b.** როდესაც გვაქვს უკარკასო შენობა თვითმზიდი კედლები და განივი სიხისტის დიაფრაგმებით და გადახურვები ეყრდნობა სამი გვერდით განივ კედლებზე.
- c.** როდესაც გვაქვს უკარკასო შენობა არამზიდი კედლებით და განივი სიხისტის დიაფრაგმებით და გადახურვები ეყრდნობა სამი გვერდით განივ კედლებზე.
- d.** როდესაც გვაქვს უკარკასო შენობა თვითმზიდი კედლებით და გადახურვები ეყრდნობა ორი გვერდით განივ კედლებზე.

## ტესტი N17

როდის მიმართავენ რკინაბეტონის ვერტიკალური სიხისტის დიაფრაგმებს ბირთვის (მილის) სახით?

- a.** საკედლე პანელებში ძაღვების გადიდებისა და შენობის სიხისტის შემცირების მიზნით იყენებენ რკინაბეტონის ვერტიკალური სიხისტის დიაფრაგმებს ბირთვის (მილის) სახით.
- b.** საკედლე პანელებში ძაღვების შემცირებისა და შენობის სიხისტის შემცირების მიზნით იყენებენ რკინაბეტონის ვერტიკალური სიხისტის დიაფრაგმებს ბირთვის (მილის) სახით.
- c.** საკედლე პანელებში ძაღვების შემცირებისა და შენობის სიხისტის გადიდების მიზნით იყენებენ რკინაბეტონის ვერტიკალური სიხისტის დიაფრაგმებს ბირთვის (მილის) სახით.
- d.** საკედლე პანელებში ძაღვების გადიდების მიზნით იყენებენ რკინაბეტონის ვერტიკალური სიხისტის დიაფრაგმებს ბირთვის (მილის) სახით.

## ტესტი №18

რაში მდგომარეობს წინასწარდაძაბვის იდეა?

- a.** წინასწარდაძაბვის იდეა შემდეგში მდგომარეობს: საექსპლუატაციო დატვირთვების მოდებამდე შევქმნათ მხები ძაბვები ელემენტის მთლიან კვეთში სადაც დატვირთვების მოქმედების შედეგად ნაადრევი ბზარები ჩნდება.
- b.** წინასწარდაძაბვის იდეა შემდეგში მდგომარეობს: საექსპლუატაციო დატვირთვების მოდებამდე შევქმნათ გამჭიმავი ძაბვები ელემენტის ბეტონის გაჭიმულ ნაწილში, სადაც დატვირთვების მოქმედების შედეგად ნაადრევი ბზარები ჩნდება.
- c.** წინასწარდაძაბვის იდეა შემდეგში მდგომარეობს: საექსპლუატაციო დატვირთვების მოდებამდე შევქმნათ მკუმში ძაბვები ელემენტის ბეტონის გაჭიმულ ნაწილში, სადაც დატვირთვების მოქმედების შედეგად ნაადრევი ბზარები ჩნდება.
- d.** წინასწარდაძაბვის იდეა შემდეგში მდგომარეობს: ნორმატიული დატვირთვების მოდებამდე შევქმნათ მკუმშავი ძაბვები ელემენტის ბეტონის გაჭიმულ ნაწილში, სადაც დატვირთვების მოქმედების შედეგად ნაადრევი ბზარები ჩნდება.

## ტესტები ლითონის კონსტრუქციებში

### ტესტი №1

რითი განისაზღვრება ლითონის კონსტრუქციების

ისუბუქე?

- a.* მასალის სიმკვრივისა და საანგარიშო წინაღობის ფარდობით;
- b.* მასალის მოცულობითი წონით;
- c.* მასალის მოცულობითი წონისა და საანგარიშო წინაღობის ნამრავლით;
- d.* მასალის წონით.


### ტესტი №2

ლითონის კონსტრუქციების ზრვრულ მდგომარეობათა მეთოდით გაანგარიშების დროს მეორე ჯგუფის ზღვრულ მდგომარეობაში მოიაზრება:

- a.* ნებისმიერი ხასიათის რღვევა (პლასტიკური, მყიფე, ბლანტი, დადლილობითი), მდგრადობის ფორმის საერთო და მდებარეობის მდგრადობის დაკარგვა;
- b.* კონსტრუქციის ნორმალური ექსპლუატაციის გამძლეება (ამ შემთხვევაში, იგი რაიმე შეზღუდვის ან რიგგარეშე შეკეთების გარეშე ვერ აკმაყოფილებს სათანადო ნორმებით დადგენილ ტექნოლოგიურ ან საყოფაცხოვრებო მოთხოვნებს) ასე მაგალითად: გადაადგილებები, ჯდენა, რხევები, რომლებიც აძნელებენ კონსტრუქციის ექსპლუატაციას.
- c.* გეომეტრიულად ცვლად სისტემაში გადასვლა ან კონფიგურაციის ხარისხობრივი შეცვლა;
- d.* მდგომარეობა, როდესაც მასალის დენადობის, შეერთებებში ძვრების, ცოცვადობის, დაუშვებელი ნარჩენი ან სრული გადაადგილებების ან ბზარების ზომაზე მეტად გახსნის შედეგად აუცილებელი ხდება კონსტრუქციის ექსპლუატაციის შეწყვეტა.

### ტესტი №3

რომელ ნახაზზეა წარმოდგენილი კუთხური ნაკერი?



### ტესტი №4

ლითონის ელემენტების შეერთებებში ჭანჭიკების გაანგარიშება რა სახის ძალებზე ხდება:

- გაჭიმვა, ძვრა, ჭრა ღუნვა, ძირითადი ლითონის თელვა ჭანჭიკის პროექციის სიბრტყეში;
- გაგლეჯა, ჭრა, კუმშვა;
- გაჭიმვა, ჭრა, ძირითადი ლითონის თელვა ჭანჭიკის პროექციის სიბრტყეში;
- გაგლეჯა, ღუნვა, გაჭიმვა, ძირითადი ლითონის ჭრა ჭანჭიკის პროექციის სიბრტყეში, კუმშვა?

### ტესტი №5

რომელი ფორმულით ხდება შედუღებით პირაპირი შეერთების გაჭიმვაზე (კუმშვაზე)

გაანგარიშება:

ა)  $\leq t_w R_w \gamma_c$ ?

ბ)  $N < R_{bt} A_{bn} n$ ;

გ)  $N > R_{bt} \gamma_b d \sum t_n$ ;

დ)  $R = R^H / \gamma_m$



## ხისა და პლასტმასის სამშენებლო კონსტრუქციები

1. ძალის მოქმედების რომელი მიმართულებით არის მერქნის სიმტკიცე მაქსიმალური:

- ა) ძალის მოქმედებისას ბოჭკოების განივად;
- ბ) ძალის მოქმედებისას ბოჭკოების გასწვრივ;
- გ) ძალის მოქმედებისას ბოჭკოების მიმართულებისადმი  $45^{\circ}$ -იანი კუთხით;
- დ) ძალის მოქმედებისას ბოჭკოების მიმართულებისადმი  $30^{\circ}$ -იანი კუთხით.

2. როგორი მასალაა მერქანი წარმოშობის მიხედვით:

- ა) ორგანული;
- ბ) არაორგანული;
- გ) ორივე ერთად;
- დ) წინწვრიანი ჯიში ორგანულია, ხოლო ფოთლოვანი არაორგანული.

3. საქართველოს ტყეების ფართობის რამდენი პროცენტი უჭირავს წიწვოვან ჯიშებს?

- ა) 10%;
- ბ) 20%;
- გ) 25%;
- დ) 35%.

4. დანიშნულების მიხედვით გვაქვს შეერთების შემდეგი სახეები:

- ა) შემჭიდროება-განიკვეთის გაზრდის მიზნით;
- ბ) შემჭიდროება-განიკვეთის გაზრდის მიზნით, წაზრდა-სიგრძის გაზრდისათვის;
- გ) ჭდობა, სოგმანებით შეერთება, წირწკვიმალით შეერთება;
- დ) შეერთება გაჭიმული მაკვშირებლებით, წებოთი შეერთება.

5. მუშაობის ხასიათის მიხედვით გვაქვს შეერთებათა შემდეგი სახეები:

- ა) შემჭიდროება -განიკვეთის გაზრდის მიზნით;
- ბ) წაზრდა-სიგრძის გაზრდისათვის;
- გ) ჭდობა, სოგმანებით შეერთება, წირწკვიმალით შეერთება, წებოთი შეერთება;
- დ) ჭდობა, კუთხური შეერთება კვანძებში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ა.სოხაძე, ლ.კახიანი, ლ. ბალანჩივაძე, მ.ჭანტურია, გ. გურეშიძე რკინაბეტონის კონსტრუქციები – I ნაწილი. თბილისი: სტუ, 2011 წ. 624.082(02)ს-75-რ;
  2. ა.სოხაძე, ლ.კახიანი, ლ. ბალანჩივაძე, მ.ჭანტურია, გ. გურეშიძე “რკინაბეტონის კონსტრუქციები – II ნაწილი” თბილისი, სტუ, 2011,624.082(02)ს-75-რ
  3. გ.ჯაფარიძე, ო.ჩაკვეტაძე , სამშენებლო კონსტრუქციები,თბილისი, გამომცემლობა „საჩინო“, 2017წ. 624.04 (02)47.
- 
1. ს.ესაძე ლითონის კონსტრუქციები, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2008წ. 624.083(02)28
  2. ი. მშენიერაძე, გ. ფარცხალაძე „ლითონის კონსტრუქციები“, ბათუმი 2009 წ. 624.014.+624.07+692 f-308.
  3. მ. სანიკიძე, ლითონის კონსტრუქციები, სტუ, თბილისი,2017 წ.
- 
1. თ. ხმელიძე. ხის კონსტრუქციები „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი 2015. - 531გვ.624.081(02)/17
  2. თ.ხმელიძე, მ.მოდებაძე,ფ. ვერულაშვილი, გ.გურეშიძე,ლ.ფურცხვანიძე „მერქნის სიმტკიცის მახასიათებლების დადგენა“ „ხისა და პლასტმასის სამშენებლო კონსტრუქციები“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.თბილისი 2013.

## ჰიდროტექნიკური მშენებლობის საფუძვლები

1. ჩამოთვლილი დარგებიდან, რომელი არ ეკუთვნის წყლის მეურნეობას:

- a. ჰიდროენერგეტიკა;
- b. წყლის ტრანსპორტი;
- c. ხიდები და გვირაბები;
- d. ჰიდრომელიორაცია.

2. ჩამოთვლილი დარგებიდან, რომელი მიეკუთვნება განახლებად ენერჯის წყაროს :

- a. ატომური ელექტროსადგურები;
- b. თბოელექტროსადგურები;
- c. ჰიდროელექტროსადგურები;
- d. სატუმბო სადგურები

3. მდინარის ჩამონადენს შეისწავლის:

- a. თეორიული მექანიკა;
- b. თბოენერგეტიკა;
- c. ჰიდროლოგია;
- d. გეოდეზია.

4. მდინარეში წყლის ხარჯის ცვლილებას დროში ახასიათებს:

- a. თერმომეტრული გაზომვები;
- b. მანომეტრული გაზომვები;
- c. ჰიდროგრაფი;
- d. ვოლტმეტრი.

5. წყლის აღება წყალსაცავიდან ხორციელდება:

- a. გენერატორის გამოყენებით;

b. ტურბინის გამოყენებით;

c. წყალმიმღების გამოყენებით;

d. წყალსაგდების გამოყენებით.

**6. წყალსაცავიდან ჭარბი წყლის გატარება ხირციელდება**

a. გენერატორის გამოყენებით;

b. ტურბინის გამოყენებით;

c. წყალმიმღების გამოყენებით;

d. წყალსაგდების გამოყენებით.

**7. ჩამოთვლილი ჰიდროტექნიკური ნაგებობედან რომელი არ მიეკუთვნება საერთო დანიშნულების ნაგებობებს?**

a. წყალშემტბორავი;

b. სარეგულაციო;

c. წყალსატარი;

d. ჰიდროენერგეტიკული.

**8. კაშხლის ტიპს კონსტრუქციული ნიშნით არ მიეკუთვნება:**

a. გრავიტაციული;

b. გოფრირებული;

c. კონტრფორსული;

d. თაღოვანი.

**9. კაშხალი განეკუთვნება:**

a. ატომურ ენერგეტიკას;

b. ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს;

c. თბოენერგეტიკას;

d. სამთო მრეწველობას.

**10. დერივაციული ჰიდროელექტროსადგურის რომელი ნაგებობა მიეკუთვნება სათავო ჰიდროკვანძს:**

a. წყალმიმღები;

b. სადაწნეაუზი;

c. სატურბინო მილსადენი;

d. სამანქანო დარბაზი.

**11. გრუნტის კაშხლები მათი კონსტრუქციისა და მუშაობის პირობების მიხედვით მიეკუთვნება:**

1. გრავიტაციული კაშხლების კატეგორიას;

2. ჩაანკერებულ კაშხლებს;

3. იალქნიანი ტიპის კონტრფორსულ კაშხლებს;

4. უჯრედოვან კაშხლებს.

**12. რამდენი ძალოვანი მოწყობილობა არის განლაგებული ჰესის შენობაში და როგორ იწოდება ისინი?**

a. ჰესის შენობაში განლაგებულია 3 ძალოვანი მოწყობილობა. ესენია: ტურბინა, ტრანსფორმატორი და გენერატორი.

b. ჰესის შენობაში განლაგებულია 2 ძალოვანი მოწყობილობა. ესენია: ტურბინა და გენერატორი;

c. ჰესის შენობაში განლაგებულია 2 ძალოვანი მოწყობილობა. ესენია: ტურბინა და ტრანსფორმატორი;

d. ჰესის შენობაში განლაგებულია 2 ძალოვანი მოწყობილობა. ესენია: ტრანსფორმატორი და გენერატორი.

**13. ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან რომელი არ განსაზღვრავს წყლის სიღრმეს პორტის შიგა აკვატორიაში?**

a. პორტში შემოჭრილი ტალღის სიმაღლე;

b. პორტის მოსიღვა;

c. გემის სიგანე;

d. გემის სიგრძე;

**14. წლიური რეგულირების წყალსაცავში რომელი სახის რეგულირების ჩატარებაა შეუძლებელი?**

- a. დღეღამურის;
- b. კვირეულის (დეკადურის);
- c. მრავალწლიურის;
- d. სეზონურის.

**15. გრავიტაციული კაშხლის მინიმალური სიგანე ფუძეში განისაზღვრება სიმტკიცის პირობით, რომლის თანახმად, სავსე წყალსაცავის შემთხვევაში:**

- a. სადაწნეო წახნაგზე ვერტიკალური ნორმალური ძაბვა ტოლია ნულის;
- b. იგივე ძაბვასა დაწნეო წახნაგზე ნაკლებია დასაშვებ მკუმშავძაბვაზე;
- c. ვერტიკალური ნორმალური ძაბვა უდაწნეო წახნაგზე ტოლია ნულის;
- d. ვერტიკალური ნორმალური ძაბვა კაშხლის ფუძის კვეთის სიმძიმის ცენტრში ნაკლებია კუმშვაზე დასაშვებ ძაბვაზე.

**16. ფილტრაციული ბადის გამოყენებით განისაზღვრება:**

- a. ფილტრაციული ხარჯი ;
- b. მიწისქვეშა კონტურზე მოქმედი ფილტრაციული წნევა;
